# წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №24

## 2011 წლის 30 მარტი

## ქ. წალკა

## წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულება (დანართი: 1 (3 ფურცელი)).

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე დ. მაჩიტიძე**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 20.04.2011 წ.

*დანართი*

## წალკის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წალკის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ _ სამსახური) არის წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას, მშენებლობის ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, დოკუმენტაციის შემუშავებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას.

2. სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით, ამ დებულებით და წალკის მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. სამსახურს აქვს ბეჭედი, ბლანკი წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული გერბის გამოსახულებით და სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით.

4. სამსახური მის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს წალკის მუნიციპალიტეტის სახელით.

5. სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით. სამსახურის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოებს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

### მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები

სამსახურის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვაზე, მშენებლობისა და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისთვის გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

ა) არქიტექტურულ-სამშენებლო კუთხით:

ა.ა) მშენებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე;

ა.ბ) კონტროლი შენობა-ნაგებობის გაფართოებასა და რეკონსტრუქციის ნორმების დაცვაზე;

ა.გ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოები წესების დაცვაზე, მუნიციპალიტეტის დაზიანებული ქუჩების და გზების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესება;

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კუთხით:

ბ.ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დამრღვევ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართალდარღვევის ოქმის შედგენა (239-ე, 240-ე, 241-ე, 243-ე, 252-ე მუხლები) და კომპეტენციის ფარგლებში კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება (51[3], 53[3], 55-ე, 55[2], 55[3], 119[1], 146[1], 148-ე, 150-ე, 150[1], 152-ე, 152[2], 153[3], 159-ე, 159[1] მუხლები).

ბ.ბ) უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა, სარეკლამო ატრიბუტიკის უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა და მათი აღკვეთის ღონისძიების განხორციელება.

გ) მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვის კუთხით:

გ.ა) მუნიციპალიტეტის იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის საკრებულოს მიერ დადგენილ წესებზე ზედამხედველობა;

გ.ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე (შენობა-ნაგებობის, გზის საფარის, გარე განათების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა ჯიხურების და ჭების, სხვა ადგილობრივი ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე) კონტროლი;

გ.გ) მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე და კანონმდებლობის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის ცალკეული დავალების შესრულება.

**მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილებანი**

საქართველოს კანონმდებლობისა და წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამართლებრივი აქტების შესაბამისად სამსახური უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით შევიდეს საზედამხედველო ობიექტში შენობა-ნაგებობების მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ნორმების დაცვისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების კონტროლის მიზნით; შემოწმების პროცესში მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და ვუწყებრივი დაქვემდებარებისა;

ბ) აწარმოოს კონტროლი გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის და ღონისძიებათა შესრულება;

გ) განზაღვრის დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებები და ვადები, კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს მითითებები, დააწესოს კონტროლი მათ ხარისხიან შესრულებაზე;

დ) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები;

ე) მშენებლობის მონაწილეებზე მითითება გასცეს, როგორც სამშენებლო ნორმების ან/და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად დარღვევათა გამოსწორების თაობაზე, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მშენებლობის ობიექტზე არსებული ან/და შემოტანილი სამშენებლო მასალები, ნაკეთობები და კონსტრუქციები ვერ პასუხობენ დადგენილ მოთხოვნას;

ვ) დადგენილი წესით შეაჩეროს სათანადო ნებართვის გარეშე მიმდინარე ან უნებართვო დემონტაჟი;

ზ) სამსახური, კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე;

თ) დადგენილი წესის მიხედვით უზრუნველყოფს ინფორმაციის წარდგენას წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და საკრებულოში;

ი) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

**მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის მართვა**

1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება წალკის მინიციპალიტეტის გამგეობის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში უფროსის უფლება-მოვალეობებს გამგებლის დავალებით ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტი.

2. სამსახურის მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით.

3. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება განისაზღვრება წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

*წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 20.04.2011 წ.*

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი**

1. ამ დებულების დამტკიცება, გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხდება წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

2. იმ საკითხთა რეგულირების შემთხვევაში, რომელიც არ წესრიგდება ამ დებულებით, გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სხვა სამართლებრივი აქტები და ასევე წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამართლებრივი აქტები.